

## საქართველოს კანონი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში  
ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №17, 28.07.2008, მუხ. 126) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატება:

**1. პირველი მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული 19<sup>1</sup> მუხლის:**

**ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. მოვალეთა რეესტრი არის მონაცემთა სისტემატიზებული ბაზა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შესახებ, რომელთა მიმართ აღსრულება დაიწყო 2010 წლის 1 იანვრიდან და რომელთა მიმართაც გავიდა ფულადი გადახდევინების თაობაზე ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსრულებას დაქვემდებარებული აქტების ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის დადგენილი ვადა, გარდა უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალისა.“.

**ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. რეესტრში რეგისტრაცია არ ათავისუფლებს პირს ფულადი გადახდევინების აღსრულებისაგან.“

**2. პირველი მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული 19<sup>2</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 19<sup>2</sup> რეესტრიდან გამომდინარე სახელმწიფო დაწესებულებების და სხვა პირების ვალდებულებები

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილმა ორგანოებმა რეესტრში რეგისტრირებული პირის სახელზე სატრანსპორტო საშუალებათა და სამოქალაქო იარაღის რეგისტრაციისას აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ შესაბამის სააღსრულებო ბიუროს და უნდა შეაჩერონ შემდგომი რეგისტრაცია პირის რეესტრიდან ამორიცხვამდე.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ ქონებაზე საკუთრების ან სხვა უფლების რეგისტრაციისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სააღსრულებო ბიუროს და უნდა შეაჩეროს შემდგომი რეგისტრაცია პირის რეესტრიდან ამორიცხვამდე.

3. საბანკო დაწესებულებამ რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ საბანკო ანგარიშის გახსნისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სააღსრულებო ბიუროს.“.

**3. პირველი მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული 19<sup>3</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 19<sup>3</sup>. რეესტრში რეგისტრირებული პირის უფლებების შეზღუდვა

რეესტრში რეგისტრაციისთანავე, პირს ეზღუდება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვის უფლება აღმასრულებლის თანხმობის გარეშე.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი